თავი VII
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

მუხლი 16. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

1. თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფორმულით 2017 წლის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშებისას მუნიციპალიტეტისათვის გამოანგარიშებული გათანაბრებითი ტრანსფერი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი ჯამურად ნაკლებია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ამ მუნიციპალიტეტისათვის გამოანგარიშებულ გათანაბრებით ტრანსფერს ემატება ზემოაღნიშნულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა გათანაბრებითი ტრანსფერის სახით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულება არ ვრცელდება იმ მუნიციპალიტეტზე, რომელსაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად არ გამოეყოფა გათანაბრებითი ტრანსფერი.

3. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 164-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვის, აჟარის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ტრანსფერი განისაზღვროს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის გათვალისწინებული ტრანსფერის მთლიანი ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ითვალისწინებს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე ერედვის მუნიციპალიტეტისათვის საფეხბურთო კლუბის – ცხინვალის „ლიახვის“ დასაფინანსებლად გამოყოფილ სპეციალურ ტრანსფერს 1 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

5. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ მისაღები დაგეგმილი საკუთარი შემოსავლების მობილიზების ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის რესურსი გამოიყენოს მუნიციპალიტეტებისათვის მოკლევადიანი სესხის გასაცემად.

6 ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოკლევადიანი სესხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ და ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობას, ხოლო სესხით სარგებლობის ვადა უნდა განსაზღვროს საქართველოს მთავრობამ და იგი არ უნდა სცილდებოდეს 2017 წლის 1 დეკემბერს.

7. ამ მუხლის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები განისაზღვროს 675 080.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	8,500.0		0.0	8,500.0
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	332,638.1	332,182.2	455.9	
აჟარის მუნიციპალიტეტი	1,099.6	1,074.6	25.0	
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	37,342.3	37,342.3	0.0	
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	4,894.3	4,894.3	0.0	
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5,236.5	5,236.5	0.0	
ქედის მუნიციპალიტეტი	4,142.6	4,142.6	0.0	
შუახევის მუნიციპალიტეტი	1,627.2	1,627.2	0.0	
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,506.0	3,506.0	0.0	
ახმეტის მუნიციპალიტეტი	4,677.6	4,547.6	130.0	
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	5,516.0	5,356.0	160.0	
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	814.5	629.5	185.0	
ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტი	6,982.1	6,820.1	162.0	
თელავის მუნიციპალიტეტი	2,270.6	2,140.6	130.0	
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	5,530.6	5,310.6	220.0	
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	4,098.6	3,888.6	210.0	
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	2,437.1	2,292.1	145.0	
ყვარლის მუნიციპალიტეტი	2,546.2	2,411.2	135.0	
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	19,798.0	19,578.0	220.0	
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	5,457.3	5,225.3	232.0	
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	2,677.8	2,527.8	150.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,822.4	5,652.4	170.0	
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,447.7	3,319.7	128.0	
ვანის მუნიციპალიტეტი	5,365.9	5,220.9	145.0	
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	5,463.6	5,223.6	240.0	
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	5,318.7	5,158.7	160.0	
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	4,695.1	4,506.1	189.0	
საჩხერის მუნიციპალიტეტი	6,471.5	6,281.5	190.0	
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,972.1	3,834.1	138.0	
ხონის მუნიციპალიტეტი	5,605.9	5,445.9	160.0	
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	260.0		260.0	
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	10,532.2	10,405.2	127.0	
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	8,632.7	8,402.7	230.0	
აბაშის მუნიციპალიტეტი	4,470.7	4,323.7	147.0	
მარტვილის მუნიციპალიტეტი	5,051.7	4,896.7	155.0	
მესტიის მუნიციპალიტეტი	3,847.8	3,722.8	125.0	
სენაკის მუნიციპალიტეტი	4,195.8	4,000.8	195.0	
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	4,420.9	4,248.9	172.0	
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	3,709.7	3,531.7	178.0	
ხობის მუნიციპალიტეტი	210.0	0.0	210.0	
ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი	9,695.8	9,485.8	210.0	
გორის მუნიციპალიტეტი	11,323.0	11,223.0	100.0	
ქურთის მუნიციპალიტეტი	2,122.6	2,032.6	90.0	
ერედვის მუნიციპალიტეტი	1,968.1	1,923.1	45.0	
კასპის მუნიციპალიტეტი	2,805.3	2,629.5	175.8	
ქარელის მუნიციპალიტეტი	5,481.2	5,268.2	213.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
თიღვის მუნიციპალიტეტი	1,410.9	1,385.9	25.0	
ხაშურის მუნიციპალიტეტი	5,443.1	5,214.1	229.0	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	11,193.8	10,693.8	500.0	
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	305.0		305.0	
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	260.0	0.0	260.0	
დმანისის მუნიციპალიტეტი	2,869.0	2,739.0	130.0	
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	3,531.6	3,314.6	217.0	
მარნეულის მუნიციპალიტეტი	5,503.7	5,253.7	250.0	
წალკის მუნიციპალიტეტი	1,319.4	1,210.4	109.0	
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	5,574.2	5,354.2	220.0	
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	4,456.4	4,370.4	86.0	
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	5,104.6	4,930.6	174.0	
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	2,650.4	2,467.4	183.0	
ადიგენის მუნიციპალიტეტი	2,807.5	2,670.5	137.0	
ასპინძის მუნიციპალიტეტი	126.0	0.0	126.0	
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	746.9	531.9	215.0	
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,698.0	4,531.0	167.0	
ახალციხის მუნიციპალიტეტი	110.0	0.0	110.0	
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	190.0	0.0	190.0	
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	1,897.3	1,732.3	165.0	
ახალგორის მუნიციპალიტეტი	2,413.3	2,323.3	90.0	
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,263.1	3,153.1	110.0	
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,020.0	2,884.0	136.0	
ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტი	2,650.0	2,555.0	95.0	
მცხეთის მუნიციპალიტეტი	280.0	0.0	280.0	

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი	გათანაბრებითი ტრანსფერი	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად*	სპეციალური ტრანსფერი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	85.0	0.0	85.0	
ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	4,084.1	3,994.1	90.0	
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	2,687.4	2,632.4	55.0	
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2,686.5	2,581.5	105.0	
ონის მუნიციპალიტეტი	2,795.1	2,692.1	103.0	
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,234.3	4,076.3	158.0	
სულ	**675,080.0**	**654,762.3**	**11,817.7**	**8,500.0**

შენიშვნა (*): დელეგირებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება.